რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] შთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 11 თებერვალს. კორკის თოფის-წამლის მაღაზიიდამ მოიპარეს გუშინ დიდ-ძალი თოფის-წამალი სასამართლომ დამნაშავედ იცნო ცხრამეტი კაცი, რომელთაც ზალაპურის შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეს; მაგრამ სასამართლომ დროებით შეაჩერა თავის განჩინების სისრულეში მოყვანა. სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ ჯერ-ჯერობით არ შეიტანოს პარლამენტში იმ კანონის პროექტი, რომლის ძალითაც ირლანდიელებს თოფ-იარაღის ტარება აეკრძალებათ; მაგიერად სამინისტრო წარადგენს წინადადებას ირლანდიის ადგილ-მამულის შესახებ.

**სტამბოლი**, 11 თებერვ. ოსმალეთის მთავრობამ სამი მილიონი თოფის-სასროლი შეუკვეთა ნიუიორკში იმ პირობით, რომ ეს თოფი-სასროლები სამის თვის განმავალობაში მზად უნდა იყოს.

**პეტერბურღის ბირჟა**, 12 თებერვალს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 95 | 75 |
| მეორესი | 93 | 25 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 76 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 225 | 50 |
| მეორე სესხის | 223 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | 25—21 | პენსი |
| გამბურღი | 215— „ | ცენტი |
| პარიჟი | 266—50 | სანტიმი |
| ვენა | 129—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — |

### უწესოება რკინის გზაზე

ტფილისი, 13 თებერვალს.

მოგეხსენებათ—თუ რა საშინელი ბოროტ-მოქმედება სუფევს ყველა იმისთანა რკინის გზებზე, რომელიც მართებლობის ჯარით კეთდება ანუ მისი დახმარებით რომელიმე საზოგადოებისა ანუ კამპანიისაგან. ბევრი უცდიათ, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოუგონებიათ, რომ ამ რკინის გზებზე მოსამსახურე პირების ბოროტ-მოქმედება შეამცირონ.

ჩვენი ფოთი-თფილისის რკინის გზის მოსამსახურეებმა, ვგონებ, გადააჭარბეს ამ მხრით ყველა სხვა რკინის გზის მოსამსახურეებს. რა არ ხდება ამ რკინის გზაზე, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის! არა მგონია სადმე იყოს კიდევ ამისთანა ცარცვა-გლეჯა. აქ სალოდავები არიან მხოლოდ ტელეგრაფისტები და მაშინისტები... მხოლოთ ამათ არა აქვთ არავითარი „გამორჩენა!“

ჰხედავ, მოდის ერთი ვილაცა პოლიცმელი, ანუ ურია, რომელსაც, სულის მეტი არა აბადია-და, ისე ლატაკია. იშოვა რამე თანამდებობა: ანუ მუშის ზიდვისა, ანუ დისტანციის ნაჩალნიკობა, ანუ სხვა რამე. ხუთ წელიწადს იქით ველარ იცნობ! წელიწადში, ვსთქვათ, ასი თუმანი აქვს შესავალი. თავის ხარჯზეა. ხუთ წელიწადში ათი-ათასი მანეთი ბანკებში აქვს გაგზავნილი.

საიდამ?.. პირობა აქვსთ შეკრული, რომ არ გასცენ ერთმანეთი. ვაი მისი ბრალი, ვინც სვინიდისზე დაადგება: მაშინვე გამოაგდებენ.

პოლმელი ცდილობს, რომ ყველგან პოლმელები დანიშნოს; ურია ცდილობს, ყველა თანამდებობა ურიებს მიენიჭოს; რუსი რუსებზე ცდილობს; ქართველს კი არავინ ჰყავს ჯერ მექომაგე...

ერთად-ერთი ქართველია ჩვენს რკინის გზაზე, რომელიც კარგა ბლომათ სარგებლობს. იმას არაფერი თანამდებობა არა აქვს; ის ყავდა ღღემდინ ერთს დისტანციის უფროსს პოდრიადჩიკათ. ეს დისტანციის უფროსი აწერინებდა მას ყალბ კვიტანციებზე ხელს და მანეთიდამ 20% აძლევდა; აქიდამაც ძლიერ ბევრი შეიძინა ამან და, თქვენ იანგარიშეთ, თვითონ დისტანციის უფროსი კი რამდენს შეიძენდა!..

მადლობა ღმერთს, ეხლანდელი რკინის გზის გამგებელი ისე უყურადღებოთ არ იქცევა, როგორც წინანდელები იქცეოდნენ. ახლანდელი რკინის გზის უმფროსის მიზეზით, ერთმა დისტანციის უმფროსმა, რომელსაც არა ვითარი ინჟინერის სწავლა არ ჰქონებია მიღებული, დაანება თავი ამ რკინის გზაზე სამსახურს და ბათუმისკენ წავიდა, სადაც, როგორც გავიგე, ჰყიდულობს თურმე ტყეებს იმ ადგილების სიახლოვეს, სადაც ბათომის რკინის გზა გაივლის. ზოგიერთი თავადები სტყუვდებიან თურმე მისგან და თითმის მუქთად უთმობენ თვალ-გადუწვდენელ ტყეებს...

უნდა იცოდნენ ყველა იმ ტყის მეპატრონეებმა, რომელთა ტყეები ბათუმის რკინის გზის სიახლოვეს იქმნებიან, რომ ამ ტყეებს ძლიერ დიდი ფასი დაედება. იმათ უნდა ჰქონდესთ სახეში, რომ საჟენი შეშა ჩვენში ეხლავე იყიდება 30 მანეთად და რამდენი საჟენი შეშა გამოვა მათი

---

**«დროების» ფელტონი**, 14 თებერვ.

### ოზიდა *)

(მოთხრობა ქისტურის ცხოვრებიდგან)

#### XII

ამ შემთხვევის შემდეგ საის თანდა-თან უფრო და უფრო შესძულდა თავისი მამა. ჰამბულატიც რომ ხედავდა ამ ნაირად გარისხებულს საის, ცეცხლს უმატებდა.

ერთ დღეს, როდესაც საი დადიოდა სოფელში, ოზიდამ დაიძახა თავისი შვილი და ალერსებული მივარდა მას.

— მიყურე, საი, ნუ თუ კიდევ ხარ ჩემზედ გარისხებული?.

საი პასუხს არა სცემდა. ის უყურებდა ჩუმათ და სიანჩხლისაგან თვალები უპრიალებდა.

— საი, განაგრძელა ოზიდამ, რა დაგიშავე? ღმერთი ხომ მოწამეა, რომ მიყვარხარ და მინდა შენთვის კეთილი... მართალია...

— მართალი არაფერიც არ არი, გააწყვეტინა სიტყვა მრისხანეთ საიმ, შენ გინდა შენის ტკბილის ენით მომატყუო მე... მართალია, პატარა ვარ, მაგრამ გული მაგრძნობინებს...

— ოხ, ღმერთო ჩემო, ჰფიქრობდა ოზიდა, ნუ თუ მართლა ჩემი შვილი გრძნობს ჩემს სიძულვილს!....

საიმ წასვლა დააპირა, მაგრამ ოზიდამ არ გაუშვა.

— საი! იყავ ჩემი მორჩილი შვილი, თუ გინდა ბედნიერი ცხოვრება!. მაფიცებ დედიშენის საფლავსა, მოდი ჩემთან და იყავ ერთგული და მორჩილი შვილი...

— თავის დღეში შენთან არ წამოვალ!

— მაშ აღარ გაჰყვები იმ მამას, რომელიც შენის ჯულისთვის, ღმერთმა იცის, რას არ ჩაიდენს!? განა არ ენდობი მამაშენს, რომ მიგცეს თიანეთის სკოლაში? იქ არ იცი, რომ გაგზრდიან, გასწავლიან და მერე გამოგისტუმრებენ ჯილდოთი?

— ჯილდოთი? მაშ შენ გინდა შენისთანა გამოვიდე? არა, დამეხსენი სწავლა არ მინდა... ისიც მეყოფა, რომ ვიცი იარაღის ხმარება და ცხენზედ ჯდომა...

— სულელო, განა არ იცი, რომ ახლანდელ დროში მარტო ეგ არ გამოგადგება? წავიდა ის დრო, როდესაც იარაღის ხმარება იყო ჩვენში საჭირო.

— არა, ჯერ არ წასულა, შენ კარგათ იცი... თითონ ხევსურები როგორ ეპყრობიან ჩვენს ძმებს... ჩვენ როგორ ვეპყრობით მათ? რამდენ კაცსა ჰკლავენ აქ უბრალოთ!?..

— ოჰო, მეც მანდა ვარ, უთხრა ოზიდამ, მეც მაგას გეუბნები, რომ, როდესაც სწავლა შამოვა, მაშინ იარაღი საჭირო აღარ იქნება... ახლა, მართალია, ყოველივე საძაგლობა იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ვართ გაუნათლებელი... განათლდი და გაანათლე სხვები... განა სულ მაგისთანა მხეცი უნდა იყო, როგორიცა ხარ?

— არ მინდა განათლება, დაიყვირა საიმ, არა! გითხარი და ვიმეორებ, რომ შენთან საქმე არა მაქვს... მე ვიცხოვრებ ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ...

— როგორც სხვები? ჰკითხა ღიმილით ოზიდამ.

— ჰო!

— მაშ შენც ქურდობას დაიწყებ და ხალხის ცარცვას?

— რატომაო! ჩვენში ჩვეულება ეს არის და ისეც მოვიქცევი!...

— აი, რა არის უსწავლელობა! ამისათვის მინდა დღესვე გაგგზავნო თიანეთის სკოლაში, სადაც გასწავლიან....

— არ მინდა სწავლა!

— გიბრძანებ წამოხვიდე! მრისხანედ დაიძახა ოზიდამ.

— არა! არ მინდა!

— გეუბნები, რომ ძალათ წაგაყვანინებ!

— არ შეგიძლიან!...

— ბიჭებო, დაუძახა ოზიდამ მხლებლებს, მოჰკიდეთ ხელი და წამომითრიეთ ეს ლაწირაკი!...

მისცვივდნენ ბიჭები და ძალათ წაიყვანეს საი ოზიდას სახლში, საიდამაც მეორეს დღეს გაგზავნეს იგი თიანეთის სკოლაში.

---

*) „დროებას“ № 32.

ტყიდამ? ეს პირები, რომელნიც ეხლა იქით წავიდნენ, საშინელი გაიძვერაები არიან: რასაც 1,000 მანეთად იყიდიან, იმით 50,000 მანეთს ამოიგებენ. ზოგიერთები კიდეც აშინებენ თურმე მეპატრონეებს, თუ ნებით არ მოგვყიდი ტყეებს, ძალათი გაგაყიდვინებენო. ამისთანა ტყეები სახაზინო გლეხებისაც რომ იყოს, მაინც არ წაერთმევათ მათ; იმათ შეუძლიათ ტყით ისარგებლონ.

იმედი მაქვს სხვა კიდევ ვინმე აღძრავს ამაზე ლაპარაკს, რომ დაიცვან ამისთანა ოხერი გადმოხვეწილების მოტყუებისაგან ჩვენი თავად-აზნაურებისა და გლეხების ამდენი ხნის დაცული ტყეები.

იმდენი მოთმინება და გონიერება ვიქონიოთ, რომ დღევანდელ თუმნისთვის ხვალინდელ ათ თუმანს ნუ დავკარგავთ.

დ—ნ დ—ე.

## ახალი ამბები.

ამ რამდონიმე თვის წინათ კავკასის სამეურნეო საზოგადოებამ სოხუმის მაზრაში გაგზავნა კამისია გამოსაკვლეველად, ხომ იქაურს ვენახებს ფილოქსერის ავათმყოფობა არ გასჩენია. კამისია დაბრუნდა სოხუმიდამ და სანუგეშო ამბავი ჩამოგვიტანა, რომ ფილიქსერის ნიშნები იქითკენ არსად არ მოიპოვებაო.

მაგრამ ახლა გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ერთის ვიღაც მეურნეობის მცოდნე პირის წერილი, რომელშიაც იწერება, რომ მდ. ფსირცხაზე დასახლებულ ბერებმა ოთხი ათასი ვაზის ნერგი მოიტანეს შარშან ყირიმიდამო და, როგორც შევატყე და რამდენმე ჯერაც გამოუცხადე იმ ბერებს, იმათი ახლად გაშენებული ვაზები უეჭველად ფილოქსერით არიან ავათ. ეს გარემოება ადგილობრივ ადმინისტრაციაც ვაცნობე, მაგრამ დღემდინ ყურადღება არ მიუქცევიათო. ახლა კი გაზეთით ვაცხადებ, ვისაც რიგია, გამოიკვლიონ და თუ მართლა ფილოქსერაა, ამოსწვან ეს ვაზებიო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის მომავალ ქართული გაზეთის „შრომის“ გამოცემის ნება-რთვას მთავრობის მხრით არავითარი დაბრკოლება არ მოელის. ამბობენ მხოლოდ, რომ ჯერ არ იციან—თუ ცენზურის მხრით როგორ მოათავსონ საქმე. ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა, რომ გაზეთს იქვე, ქუთაისშივე დაუნიშნონ ცენზორი; უამისოთ გამოცემის ნება-დართვა ფუჭად ჩაივლის, რადგან, თუ ქუთაისის გაზეთს აქაურ ცენზურთან ექმნა საქმე, ამ გვარ მდგომარეობაში ჩავარდნილ გაზეთს არსებობა არ შეუძლია.

* * *

სიამოვნებით ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენი ნიჭიერი პოეტი თ. აკაკი წერეთელი რამდენიმე საზოგადო ლექციის წაკითხვას აპირებს ქართულ ენაზედ. საგანი ლექციებისათვის აღებული აქვს ფრიად საინტერესო: „ვეფხის ტყაოსნის“ ტიპები. იმედია, რომ ამ ყველა ქართველისათვის საინტერესო საგანზე ჩვენი მახვილ გონიერი პოეტი საინტერესო რამეს ილაპარაკებს.

* * *

უკანასკნელს ფოჩტით მოსულს რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია გამოჩენილი ადვოკატის სპასოვიჩის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს პეტერბურღის იურიდიკულ საზოგადოებაში იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ხალხის ენას უნდა ჰქონდეს სასამართლოებში საქმის წარმოების დროს. ერთს შემდეგ ნომერთაგანში ჩვენ მოვიყვანთ სპასოვიჩის სიტყვიდამ ზოგიერთს უფრო შესანიშნავ ადგილებს; ახლა კი საზოგადოთ ვიტყვით, რომ სპასოვიჩი ამსაგნის შესახებ სწორეთ იმ აზრისა და შეხედულობისა არის, რა აზრიცა და შეხედულობაც არა-ერთხელ გამოცხადებულა ჩვენს ადგილობრივ ლიტერატურაში: ესე იგი, რუსულ ენაზე საქმის წარმოება ისეთს ქვეყნებში, სადაც ხალხს ეს ენა არ ესმისო (პოლშასა და კავკასიას იხსენიებს), შეუფერებელი და სამართლიანობისა და ხალხისათვის მავნებელი არისო; თარჯიმნების საშუალობით სასამართლოებში საქმეების გარჩევა შეუძლებელიაო; ძალ-დატანებით არ შეიძლება რომლისამე ენის შემოღება და გავრცელება უცხო ხალხშიო და სხვ. და სხვ.

* * *

ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს იქ ყოფილა ქართული წარმოდგენა. მოთამაშეებს, განსაკუთრებით ქალებს, ძალიან რიგიანათ შეუსრულებიათ თავისი როლები. მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება დაუმსახურებია ერთს ქალს ნ. ჩ—ს, რომელსაც ქართული სიმღერები უმღერია.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**გორი**, თებერვლის 10-სა. მოატანა გაზაფხულმა და ვაი ჩვენი ბრალი, არვიცით სადა გვაქვს გორელებს საძოვარი; აღმოსავლეთით გაიხედამთ, ხუდადაშვილები არ გვიშვებენ—ჩვენიაო; დასავლეთით რიყე გაზლავს და მდინარე ლიახვი, რომელიც ბრაზით იყურება, სხვაც არა წაგვართვას-რა; ჩრდილოეთით, რომელიც საუკეთესო ადგილებია, ქართლელთ[illegible] მეტი წილი ბ. [illegible] უჭირავს—სენატის გაჩენით ჩემიაო, და სამხრეთით ვინ რას გვადირსებს, ცარიელ ადგილისთვისაც ათას თუმანს ედავებოდა გორს ბ. დავით ერისთავი და იქ რომ საქონელი გავრეკოთ, იმის ასარ-ბასარა მედუქნეებს ცოლ-შვილით ვეღარ გადურჩებით!..

სწორეთ რომ იტყვიან—სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოდ—ჩვენი საქმეა. პატრონი არა ჰყავს გორსა და ვისაც რა უნდა, იმას სჩადის. აქ რა დიდი პეიტრობა უნდა, რატომ არ იკითხვენ ვისიც ჯერია, ვინ მისცათ ხუდადაანთ ათასობით დღის მიწა; მერმე ამ მტკიცე კანონებში საბუთი არ უნდათ? რატომ არ იკითხავთ, ვინ მისცა ბატონ ამიროვს ათასობით დღის მიწა სახნავ-სათესი და სავენახე? არავის გახსომთ, რომ ბატონ ამიროვის გარდაცვლებულს მამას მტკაველი ადგილი არა ჰქონია გორში მამა-პაპეული, რადგანაც მამა ერთი საწყალთაგანი ყოფილა და თითონ მამამ რომ დავნიანთაგან ხუთი დღის მიწა შეიძინა, ეს ვიცით, დანარჩენი ცით იშვა თუ დედა-მიწით? მაგრამ მიზეზი არის უპატრონობა. მძლავრ ლიახვზედ და მძლავრ თავად ერისთავზედ რაღა გვეთქმის!

მაშ რა არის ეხლა საჭირო, რომ ბევრი წილი გორელი ოთხ-ფეხის საქონლით ვცხოვრობთ და ჩვენმა ნახირმა თავისუფლათ იაროს. გორის სამართველოს ლაპარაკი ჰქონდა ხუდადაშვილებთან და ბატონ ამიროვთან; რატომ არ გაათავეს ლაპარაკი? მაგრამ ამათ საფუძვლიანი საქმეებისათვის არა სცალიანთ, ამათ წითელ-ყვითელი „კნილები“ შეინახონ, შემოსული კასაში ორი შაური ხუთ დავ-

---

## XIII

საი მეოთხე დღესვე გაიქცა თიანეთიდამ და გასწია ქისტეთისაკენ, საიდამაც ოზიდამ კიდევ გამოისტუმრა უკან. მაგრამ ამ ღონისძიებამ ბოლო არ მოუღო საის უკმაყოფილებას; მას არამც და არამც არ უნდოდა სწავლის მიღება. ხუთჯერ გაიქცა თიანეთიდამ ქისტეთში და ხუთჯერვე უკან იყო ოზიდასაგან დაბრუნებული. მეექვსე ჯერ რომ გაიქცა, გავარდა ყაჩაღათ. ჯერ არც კი იქნებოდა ხუთმეტის წლისა. ყოველ ადამიანს უკვირდა ამ ნაირი მისი მოქმედება. ყველი მისთვის კეთილის მოსურნე სწუხდა. მომეტებულათ სწუხდა ოზიდა, რომელიც დაეძებდა აქა-იქ, რომ დაჭერილი კიდევ გაეგზავნა თიანეთში.

ერთს დღეს, ეს იყო მარტში 1880 წელსა შუა დღისას, ოზიდა შეეყარა საის, რომელიც ჩაფიქრებული, ცხენით მიდიოდა ხევის ნაპირას. დანახვის უმალვე ოზიდამ აჩქარა ცხენი და, მინამ საი შეამჩნევდა მას, კიდეც დაეწია...

— ხად მიტანტალებ? ჰკითხა მრისხანეთ ოზიდამ.

— შენ რაგინდა? მე ასე მიამება! დაიძახა აწითლებულმა საიმ.

— გიამება—თუ არა, ეს არ ვიცი... მხოლოდ ეს ვიცი, საძაგელო, რომ უნდა გამამყვე შინ..

— აი! აი! რა ყოჩაღი რამა ხარ!...

— რას ამბობ, წყეულო, რას მიედმოედები?...

— მამა ჩემო, დამეხსენი გირჩევნია!.. რა გინდა ჩემგან? ვერ შეიტყე, რომ არმინდა სწავლა? რა ჩამციებიხართ!..

— მე გეუბნები, დაუყვირა ოზიდამ რომ ჩემი სურვილია!.. ჩემს სურვილს არ უნდა აღუდგე...

— შენი სურვილია?! დიდება შენთვის, ღმერთო!.. რაზედა სწუხხარ?.. შენ რა გენაღვლება, რომ მე [illegible] ვიარო?!.. იქნება ჩემი სიკვდილი გინდოდეს?! პაპაჩემი მოჰკალი, დედა ჩემი დასტანჯე და ახლა მე გადმომწვდი... მაგრამ, ტყუილია, ჩემი წვალება შენ არ შეგიძლიან... გგონია, პატარა რომ ვარ, არა-რა შემიძლიან?!. ოჰო! ძრიელ შემცდარი ხარ!..

— წყეულო, სისხლი მემღვრევა და არ ვიცი რას გიზამ, თუ კიდევ დამიწყე მაგნაირი ლაპარაკი... გესმის წამოდი-მეთქი!..

— რას ჩამაცივდი!... ამისთანა რომ არ იქნება! არ მინდა-მეთქი ერთხელ გითხარი და ახლა კიდევ გინდა ძალადობა?!.

— შე, უსირცხვილო, ხომ ხალხში მომჭერი თავი, რადგანაც შენისთანა ლაწირაკი მე, გათქმულ ოზიდას, არ მემორჩილება!.. მორჩილობის მაგიერათ, უფრო მტანჯავ და ცეცხლს მიკიდებ!... ამისთანა საკვირველი ამბავი გინახამთ!! ..

— ღირსი ხარ ტინჯვისა... არ უნდა გიკვირდეს, რომ შენი შვილი ცუდათ გეპყრობა! როგორ შეგიძლიან მოსთხოვო იმ შვილს ერთგულება, რომლის პაპაც შენის ხელით არის მკვდარი?!. გამეცალე!.. მეჯავრები... მეზიზღები! ნულარ მოჰბედავ ჩამთან თორემ... თორემ...

— თორემ რა, წყეულო?! რაები დაიწყე!? რა ამბავში ხარ?! არ იცი მაგ სიტყვის გულისათვის რას გიზამ?..

— ვერაფერსაც ვერ გაბედავ!

— აი, თუ არ გავბედავ! დაუყვირა ოზიდამ და დაუშინა მათრახი.

— ნუ მცემ! ნუ მცემ, მამაჩემო, ჰყვიროდა საი, თორემ...

— თორემ რა? ჰკითხა ოზიდამ კანკალით.

— მიყურე! როდესაც გაწვალებდა მამა-შენი, როდესაც გტანჯავდა იგი, შენ არ იცოდი რა გექნა... რამდენჯერ მამის უსამართლოებაზედ მწარე ცრემლით გიტირნია და შენ მისი მოკვლა კი არ გაგიბედია... როდესაც ბოლო მოუღო შენს მოთმინებას... როდესაც მოგიჭირა ხელი და უნდოდა უმიზეზოთ დაესაჯე... მაშინ... მხოლოდ მაშინ გამოიძრე დამბაჩა და მოჰკალი იგი... ამისთანა მდგომარეობა გამოგიცდია და ახლა შენ მაინც ისე ეპყრობი შენ შვილს, როგორც გეპყრობოდა მამა-შენი... განა არ გესმის ადამიანის სიტყვა.. არ ვიცი—რათა, მაგრამ მეჯავრები-მეთქი!!. ძალათ როგორ შეგიყვარო, როდესაც მეზიზღები... მომცილდი გირჩევნია... დამეხსენი...

— არა, არ დაგეხსნები... მაშ რაღა ვაჟკაცი ვყოფილვარ, თუ ბავშვის ტიტინს ყური ვუგდე!.. რაღა კაცი ვყოფილვარ, თუ შენს სიტყვებს

თარში გაატარონ და აი ეს არის ამათი პატრონობა!...

ზემოთ სადაც ვილაპარაკე უსამართლოდ ბორის მამულების დაჭარაზედ, ნამდვილ საბუთს მოვიყვან, რომ ბორში ზემო მოხსენებულ პირთა მტკაველი ადგილი არა ჰქონიათ, წაიკითხეთ შემდეგი გორელებისგან საჩივარი მეფე ირაკლისადმი, რომლის ნამდვილს დედანს უგზავნი „დროების“ ერდაქციას:

„ქრისტე ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობ გორელებსა.

„ამას წინათ ამსაქმეზედ კიდევ არზა მოგართვით, რო ჩვენის საქონლის საძოვარი ქართლეთის ბოლოდამ დაჭერილი, რომ ჩვენ და ერისთვიანთ საქვეყნო სამანიც გვიზის: იქიდამ გორის წისქვილებამდის ალა პაპა შვილს პაპას უჭირავს. ზოგს თვითონა ხნავს და ზოგს სხვათ ახვნევინებს და ღალას თითონ იღებს.

„ღმერთმან განაძლიეროს თქვენი მეფობა, ემინობა შეიქნა თქვენის დოვლათით ოთხ კუთხეში. ხოფელი აშენდა და ზოგიც შენდება, და რაც ოთხ-ფეხი საქონელიგვყავს აღარა გაცმა თავანთ მამულში ადარ გვაძოვებინა, და ჩვენის საქონლის საძოვარი ეს არის მოგეხსენებათ, ყოველი კაცი ოთხ ფეხი საქონლით ვცხოვრობთ ამდონი თქვენი წყალობა იყოს მთელი გორი; დიდი თუ მცირე ერთობლივ ვევედრებით, რომ ჩვენი საძოვარი ჩვენვე დაგვნებდეს, ამისი მოვნა არას გორელის კაცისაგან არ იქნება, თორემ იმდონი ღმერთმან გამარჯვება მოგცესთ, რამდონს გორელს კაცს თვალი ეჭიროს თუ გაიცემოდეს და წლევანდელის ღალისასა ნება თქვენი აღსრულდეს. მაისის იგ-სა ქკს უჲთ.

„მე ხითარაშვლი ზურაბა,

„მე გაბრიანთ იოსება,

„მე იოანე პენტილაშვილმა ამ არზის პირი ვნახე და გარდმოვსწერე მაისის კზ ქკს უჲთ“.

„აი განჩინებაც მეფისა. ქ. ჩვენი ბძანება არის პაპა მწყრალო მერმე ამ არზით გორელები რომ ასრე ჩივიან ეგ მამული ძველთაგან საბინავი ყოფილა და ან შეითალმანი ყოფილა ვისიმე ამის წინათ რომ შენ მოგეცით შენივე იქნება და თუ ძველთაგან საბნავი არა ყოფილა და საქვეყნოდ საძოვარი ჰქონდესთ და შენ ყალათათ გაგიშინჯებია და ისე გამოგირთმევია იმ მამულს ვერ გაუცემთ და გორელებს ვერ გამოვართმევთ ის მამული ისევ უნდა დასდვა და ღალა კი ჩვენთვის უნდა აიღონ: ლიასამიძე ბინბაშო იოვანე, ეს ასე გაარიგე.

„ქკათათვის დ. ქკს უჲთ“. ბეჭედი მეფისა.

ამის შემდეგ დამტკიცება არ უნდა, ბორს სჭერია 1868 წლამდის და ეხლა სად შეიძინეს ამ ბატონებმა არ ვიცით. ზემოთაც ვთქვი, დაჩუმება არ უნდა, საზოგადოთ უნდა ყველამ ხამ ამოიღოს; ნურვინ იტყვის: „რა ვამოვა ჩემი ხმის ამოღებითაო“. თუ მოინდომებენ გორელები და ჩვენში ის ფესვ-გადგმული მიდგომილება და მეგობრული ძალა აშოვარდება, მაშინ ვერცარას ამიროვი წაგვართმევს და ვერცარა ხუდადოვები და არც ვიქნებით უმამულო. ბორის ქალაქის თავმა ამისთანა უმთავრეს საგნებზედ დაუთხრომელათ უნდა იზრუნოს. ზემოთაცა ვსთქვი, დახატული დავთრები მუცელს არვის გაგვიძღობს.

XX.

---

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

შესახებ ამბისა, რომელიც თქვენ ბეკმელი გლეხისაგან მიგიღიათ და თქვენს პატივცემულ გაზეთში (№ 26) დაგიბეჭდიათ, მოგახსენებთ, რომ ეს ამბავი სრულიად ცრუ და საზიზღარი ჭორია.

აი ამბობს:

„26 დეკემბერს ჩვენმა მღვდელმა „გამოგვიცხადა, რომ ხარი გამისვდა „ავათ, თვალით ვეღარ ხედავსო და ამი„სათვის დავკალიო და ეს ხარი ღირს „ფასსათ ხუთ თუმნად, უნდა აღმიდგინო„თო ჩემმა პრისოდმაო,“ და ბოლოს უმატებს:

„ძალა-დატანებით ხარის ხორცი მი„ვიდეთ; მაგრამ რა გვაჭმევდა, ბატონო, „როდესაც ჩვენში ჭირით უკანასკნელი „ათი სული კვდება დღეში.“

საზოგადოდ ამგვარ უსინდისო სიცრუეს და ჭორს კაცზე, რომელსაც კი სინდისი წმინდა აქვს, არავითარიმე გავლენა და მოქმედობა არა აქვს, და განსაკუთრებით იმისთანას, რომელიც თვისშივე იპყრობს ყოველსა მას, რაიცა ყველას ცხადად უჩვენებს, რომ ცნობილი ჭორი არის მხოლოთ ნაყოფი გაფუჭებულის და გაჰყვნილის ფანტაზიისა და მასში ერთი იოტის ტოლა სიმართლე არ არის.

სწორეთ ამ გვარი გახლავთ ეს ჩემზე მიგონილი ამბავი.

ერთი ეს მიბრძანეთ: რა რიგათ და რის ძალით შემეძლო ძალა-დატანებით ხალხისათვის ხორცის მიყიდვა? რა საფუძვლით შემეძლო მე ჩემი მრევლი ვალდებული გამეხადა, რომ ჩემთვის ხარი აღედგინათ? ნუ თუ ვისმე მდაბიო ხალხი იქამდინ ბრიყვად და რეგვენებათ მიაჩნიათ, რომ ამნაირ ტუტუცურ ვალდებულობას ისინი ღვდლისაგან მიიღებენ?

სრულიად მართალია, რომ მე 26 დეკემბრისას ხარი დავაკვლევინე; ისიც მართალია, რომ ეს ხარი დამიბრმავდა და მუშაობისათვის აღარ ვარგოდა და მარტო მხოლოდ ამისაგამოც დავაკვლევინე; ამას [illegible] დაამტკიცებს. რომ [illegible] თუმანი მილირდა, ესეც მართალია, —თვითონ ბეკმელი გლეხისაგან ვიყიდე, —და რომ მე იმაში 12-ტი მანეთი აღმიდგა, ესეც ყველამ იცის; რომ იმათ ხორცი წაიღეს ნაკლებ ფასათ, ვიდრე როგორც იმ დროს სურამში ფასობდა და რომ ამისა გამო ეს ხორცი იმათ მსწრაფ დაიტაცეს, ასე რომ ბევრმა ხორცის მსურველმა ვეღარც მოუსწრეს.

ესეც ბევრმა იცის, რომ ჩვენში ბეკამში არავითარიმე საქონლის ჭირი არ არის და არა-რა საქონელი დღეში ათა-თობით არ იხოცება. ამას მთელი სოფელი იტყვის.

ეს ჩვენზედ მოწერილი ამბავი მე მეხება, არამ თუ მარტო მე, როგორც მღვდელს და მით როგორც ხალხის მასწავლებელს და ხელთ-მძღვანელს მისი სასულიერო—ზნეობითი აღზდაში და განვითარებაში, არამედ მასთანავე მეხება როგორც კაცსაც, როგორც საზოგადოების კეთილ-სინდისიან წევრს.

ჭეშმარიტად საზიზღარია ის ერის კაცი, რომელიც არ დასდევს და არას დაეძებს იმ საზოგადოებას, —რომელშიაც ის იბადება, იზრდება და ცხოვრებს, —ღალატობს და ქელამს ფეხით მის ინტერესს და თავის საკუთარ სარგებლობისათვის ბრიყობს და ჩაგრამს მდაბიო ხალხს; მაგრამ ათასჯელ უფრო საზიზღარია ის მღვდელი, რომელსაც ხელში მიცემული აქვს პატიოსანი ჯვარი და მით ის ღვთის ენით ასწავებს და ქადაგებს სიყვარულს, სიმართლეს და ზნეობით თავისუფლებას, და თვითონ კი, წინაამდეგ თავისი სიტყვისა, ჩაგრავს თავის მრევლს და ძალის-ძალათ ყიდის მათ ჭირიანი ხარის ხორცს.

---

რამე მნიშვნელობა მივეცი!.. ადექი და წამოდი მეთქი, დაუყვირა ოზიდამ, თორემ ღმერთმან იცის შემომაკვდები!..

— არ წამოვალ! ტყუილათ ნუ ჰყვირი, მე შენი არ მეშინიან!..

— არ გეშინიან? აი, შე საძაგელო! დაუშინა ხელიმეორეთ მათრახი და იქამდინ სცემა, მინამ ცხენიდამ არ გადმოაგდო. ცხენიდამ ჩამოვარდნილი, საი წამოხტა მსწრაფლათ.

— უსინიდისო ყოფილხარ, დაიყვირა მან, კაცსა სცემ და იცი კიდეც, რომ ის კაცი პასუხს არ გადრებს... მაგრამ შემცდარი ხარ... აქამდინ ვერ გიბედავდი... არ მინდოდა შენთვის ხელი მეხლო; მაგრამ ახლა... ცეცხლი მედება... მოთმინება დამეკარგა... შენც ისე უნდა მოკვდე, როგორც მოჰკვდა პაპა-ჩემი!..

ამ სიტყვაზედ ყმაწვილმა დასცა დამბაჩა... გასისხლიანებული ოზიდა გადმოვარდა ცხენიდამ...

## XIV

მეორე დღეს მომაკვდავმა ოზიდამ დაიბარა ყველა თავისი ნაცნობები და სთხოვა მათ მოეყვანათ საი და ეჩვენებინათ იგი უკანასკნელათ. საი იმ დროს იქ ახლო-მახლო ტყეებში იყო დამალული და მწარეთ სტიროდა. როდესაც შეიტყო, რომ ოზიდას უნდოდა მისი ნახვა, დაღონებული წამოვიდა იმ სახლში, სადაც იწვა მომაკვდავი. შევიდა თუ არა, მივარდა მამას და დაიწყო საშინელის ხმით ტირილი.

— ნუ სტირი, შვილო! შთხრა წყნარის ხმით ოზიდამ, რა საჭიროა ტირილი! მე მაინც უნდა მომკვდარვიყავი და შენის ხელით არ მერჩივნა სიკვდილი?! შენ აიღე პაპი-შენის სისხლი!.. ბარაქალა!.. მამასაც კი არ შეარჩინე პაპის სიკვდილი... ყოჩაღ! მთელ ქისტეთში შენისთანა გმირი არ იქნება... ვკვდები, მაგრამ მიხარიან... რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ ამისთანა კარგი შვილი მრჩება... ვაჟკაცნო, მიუბრუნდა ოზიდა ნაცნობებს, მომიბარებია ჩემი შვილი, გთხოვთ უპატრონოთ და პატივსა სცემდეთ... აგრეთვე გთხოვთ გადასცეთ მართებლობას, რომ ჩემი სურვილია აპატიონ ამას თავისი მოქმედება, რადგანაც საი მამის მკვლელი კი არ არის, არამედ თავის პაპის სისხლის ამღებია!..

ოთახში შეიქნა მყუდროება, რომელიც ბოლოს ისევ მომაკვდავმა ოზიდამ დაარღვია...

— ოხ, ღმერთო ჩემო, მომიბარებია უკანასკნელი ჩემი იმედი, რომელსაც შევხაროდი სიბერის დროსა... ღმერთო, გეხვეწები იყო მფარველი ამ ყმაწვილისა... ღმერთო... ღმერთო... საი... საი... შვილო... იყავ... იყავ ...ბედნიერი...

წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები, ერთი საშინელი ამოიოხრა და განუტევა სული. ღრიალით მივარდა საი თავის მამას და დაუწყო განუწყვეტლივ კოცნა.

— იყავ ბედნიერიო, იძახოდა ცვალცრემლიანი საი. არა, მე ბედნიერი არ ვიქნები... აწ რაღათ მინდა სიცოცხლე, როდესაც მოვკალი მამაჩემი!.. მამის მკვლელო, შენი სიცოცხლე ფუჭია... შენ ღმერთი არ შეგარჩენს შენს მოქმედებას—უნდა მოჰკვდე... თუ არ მოჰკვდები უბედური იქნები: შენი შვილი შენვე მოგკლავს... ჩვენი ჩამომავლობა ეს არი... აღარ მინდა სიცოცხლე!.. გამიშვით... ხელს ნუ მიჭერთ... კიდევ რამოდენჯერმე შეღრიალა მამის გვამს საიმ და მიწაზედ დაეცა.

ბოლოს გამწარებული წამოხტა, დაავლო დამბაჩას ხელი და ყვირილით—„სად არის ჰამბულატი?“ გარეთ გავარდა.

გაოცებული მეზობლები უკან დაედევნენ, მაგრამ ვეღარ დაიჭირეს.

საი ოთხ დღეს იყო დაკარგული. მეხუთე დღეს ერთ ხის ძირში ისა და ჰამბულატი იპოვეს ერთათ მკვდარი. საის ჯერ ჰამბულატი მოეკლა ხანჯლით და მერე თავის თავი დამბაჩით.

მ. ფ. ჯორჯაძე.

(დასასრული)

თქვენ ნუ გეგონებათ, ბ. რედაქტორო, რომ თქვენ ამ ამბავს მართლა გლეხი გწერთ. არა: მთელს ჩემს პრიხოდში მე არ მეგულება იქამდინ სინდის დაკარგული გლეხი, რომელსაც შეეძლოს და იკადროს ამნაირი უცნაური ჭორის თქმა თავის სულიერ მამაზე, რომელიც ოც-და-ცხრამეტი წელიწადი უხინჯოთ და უზაკოთ ემსახურება მათ. ეს ცრუ ამბავი არის დაწერილი და გლეხის სახელით გამოგზავნილი ერთი იმ სინდის-დაკარგულ პირებისაგან, რომელთაც, რადგანაც თავითონ სრულიად ხელი აუღიათ თავიანთ პატიოსნობაზედ, სხვაშიაც აღარ მიაჩნიათ ეს პატიოსნობა და ელტვიან, რომ, როგორც თვითონ არიან გასვრილი და გალანძღული, სხვაც ისე იქმნეს გალაძღული და გაუპატიურებული. ამისათვის ისინი დაურიდლად ჭორობენ მასზე და უყრიან ათასნაირ ცუდ ხმას.

ჩვენდა საუბედუროდ, ამნაირი პირნი ჩვენსკენ ცოტანი არ არიან. ეს შერცხვენილნი, ზნეობით დამახინჯებულნი ვაჟბატონები უგზო-უკვლოდ სოფელ-სოფელ დადიან და დაწოწიალობენ, აბრიყვებენ და ატყუებენ მდაბიო ხალხს, სთესენ და აჩვევენ მათ სიშურეს და ბოროტებას და ყოველ ამით უთხრიან ძირს იმა კეთილ დასაბამებს და ცნებებს, რომლისაგანაც მომავალში მოველით მდაბიო ხალხის ზნეობით ამაღლებას და გამშვენიერებას.

ვთხოვ იმ გაზეთებს სადაც ეს ამბავი იყო დაბეჭდილი, ეს ჩემი პასუხიც გადაბეჭდონ.

მღვდელი ალექსი ციცქიევი.

ბეკამი, 8 თებერვალი.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი — ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი — სიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი — ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი — შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე — ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრესტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს დარიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

---

# განცხადებანი


არწრუნის თეატრში
კვირას, 15 თებერვალს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
კ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა
ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება
I
**ხათაბალა**
კომედია 4 მოქმედებად და 6 სურათად გ. ნ. სუნდუკიანცისა ახლად გადმოკეთებული და გადასწორებული.
II
დივერტისმენტი
ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.

---

ადვოკატმა
ევგენი დიმიტრის ძემ ტიხომიროვმა
გაათავა რა საქმეები ქუთაისში, გადმოვიდა თბილისში, და ამით აცნობებს თავის კლიენტებს და საქმის რჩევის მსურველებს; რომ ის მიიღებს იმათ დილის 8—11 საათამდინ და საღამოს 5—8 საათამდინ. გოლოვინის პროსპექტი „პარიჟის“ სასტუმრო № 3. (3—1)

---

სამშაბათს; 17 თებერვალს
ქართულის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ, თბილისის კრუჟოკში იქნება გამართული
**ბ ა ლ ი**
ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. კავალერები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ან ნაციონალური ტანისამოსით.
ბილეთები ისყიდება სათავად-აზნაურო ბანკში 10-დამ 2 საათამდინ, შავერდოვის გაზეთის სააგენტოში და ბალის საღამოს „კრუჟოკში“. 6—5

---

**ინგლისის მაღაზია**
*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟაკარდი წვენი ჩაი — | 1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის — | 1 მ. 40 კ. |
| — — | 1 — 20 | — | 1 — 60 |
| — — | 1 — 40 | — | 1 — 80 |
| — — | 1 — 60 | — | 2 — „ |
| — — | 1 — 80 | — | 2 — 50 |
| საუკეთესო — | 2 — „ | — | 3 — „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—96)

---

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალლერეაში: ღირს სანახავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მერსები. 500,000 კლიტეები, ფანდოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 20—6

---

სოლოლაკში, ერეკლეს ქუჩაზე, მირზოევის (ხატისოვის) სახლებში, № 6 გაიხსნა
თესლისა და ყვავილების
მ ა ღ ა ზ ი ა
აქვე ისყიდება **წიგნები და ჟურნალები** რუსულს და სხვა ენებზე. (5—5)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო....ებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას სიგარები. (100—27)

---

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—16)

---

ლონდონის მაღაზია
ერევნის მოედანზე, № ... კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—35)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—24

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; **სარძევე** 30 კაპ.; **რუმკები** 5 კ.-დამ; **ფილტრები** (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და **ვედრები** 1 მან-დამ; **თეფშები** 2 მ-დამ **ინიდუჯ**; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—95)

---

ა ხ ა ლ ი ს ტ ა მ ბ ა
მოვსეს ვართანიანცისა და ამხ.

განოვის ქუჩაზე, თ. ბებუთოვის სახლებში ამ დღეებში გაიხსნა ახალი სტამბა სრული მოწყობილობით და ვიღებ ზნაკებს ყოველ ენებზე

როგორც გამოცდილი ამ საქმეში, პასუხს ვაგებ, რომ ნამდვილად და სინიდისიანათ შევასრულებ ყოველ მოთხოვნილებას. (5—5)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—13)


Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Февраля 1881 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი